NATO OTAN

მიმოხილვა

2007 წ. სექტემბერი

პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში

ნატო აღრმავებს თანამშრომლობას მის პარტნიორ სახელმწიფოებთან სამხრეთ კავკასიაში - სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. აღნიშნული ასახავს ალიანსის ლიდერების მიერ სტამბულის სამიტზე, 2004 წლის ივნისში მიღებულ გადაწყვეტილებას ალიანსისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭოს თანამშრომლობას კავკასიის რეგიონში და ცენტრალურ აზიაში. ნატო-ს პოლიტიკა ითვალისწინებს სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონების მოცვას, სადაც უსაფრთხოება და სტაბილურობა მჭიდროდაა დაკავშირებული ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებასთან მთლიანობაში.

ნატო-ს პარტნიორობის სტრუქტურები უზრუნველყოფს მრავალმხრივ ჩარჩოებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის, რომლის ფარგლებშიც მათ საშუალება ეძლევათ გადაწყვიტონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. პარტნიორობა ასევე აძლევს საშუალებას მათ გამოიყენონ ალიანსის გამოცდილება, საკუთარი თავდაცვითი სტრუქტურების და შესაძლებლობების ადაპტაციის მიზნით, რათა დაძლიონ აღნიშნული პრობლემები და ისარგებლონ ალიანსის მხარდაჭერით უფრო ღრმა რეფორმების გატარებისას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სამივე ქვეყანამ შეიმუშავა ალიანსთან "პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა", რითაც ამაღლდა თანამშრომლობის დონე და მეტი ყურადღება დაეთმო მათი პერსპექტიული რეფორმების პრიორიტეტებს (იხ. ჩანართი მე-2 გვ.). 2006 წლის სექტემბერში კი ნატო-მ წამოიწყო "ინტენსიური დიალოგი" საქართველოსთან, რაც მოიცავს პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და უსაფრთხოების საკითხების ფართო სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის მისწრაფებებთან წევრობისაკენ (იხ. ჩანართი მე-3 გვ.). მართალია აღნიშნული არ იძლევა ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების გარანტიას, მაგრამ წარმოადგენს ნატო-სთან ურთიერთობის მასშტაბის და სიღრმის ინდიკატორს.

ხსენებული გარემოებები ეფუძნება ნატო-ს და სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ადრეული 90-იანი წლებიდან მზარდი გაღრმავების ისტორიულ საფუძველს. სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო თავიდანვე მონაწილეობდნენ ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში - ფორუმში დიალოგისათვის, რომელიც შეიქმნა ნატო-ს მიერ 1991 წლის დეკემბერში, როგორც პირველი ნაბიჯი ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრების ჩართვისაკენ, აღმოსავლეთის და დასავლეთის გამყოფი ზღუდის მიუხედავად, რომელსაც მოგვიანებით, 1997 წელს, ჩაენაცვლა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო. სამივე ქვეყანამ დაუყონებლივ ისარგებლა შესაძლებლობით ჩართულიყო პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" - ორმხრივი პრაქტიკული თანამშრომლობის პროგრამაში, რომლის განხორციელება დაიწყო 1994 წელს.

შინაარსი

- რეგიონში უსაფრთხოების გამყარების მნიშვნელობა..... 2
- თანამშრომლობის ფარგლები.....3
- თანამშრომლობის უმთავრესი სფეროები.. 4
- ორიენტირები.....8

ალიანსის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში

2004 წლის ივნისში, სტამბულის სამიტზე, მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაენიშნათ სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. რობერტ სიმონში პირველი იყო, ვისაც დაეკისრა ეს პასუხისმგებლობა. მისი ფუნქციაა იქონიოს სამუშაო კონტაქტები რეგიონულ ლიდერებთან უმაღლეს დონეზე, რათა ხელი შეუწყოს რეგიონული უსაფრთხოების დაცვას და დახმარება გაუწიოს პარტნიორებს მაქსიმალურად ისარგებლონ პარტნიორობით გათვალისწინებული საშუალებებით.

ის მჭიდროდ თანამშრომლობს ოფიციალურ პირებთან რეგიონულ დონეზე და კოლეგებთან სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან, როგორიცაა ევროკავშირი და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია. აღნიშნული უზრუნველყოფს უწყვეტ კომუნიკაციას და ხელს უწყობს მიმდინარე სამუშაოს შესრულებას ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში წარმომადგენელს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებას უწევს ორი მეკავშირე ოფიცერი - თითო ორივე რეგიონში. თითოეული მეკავშირე ოფიცერი ასრულებს შესაბამის სამთავრობო ორგანოების მრჩევლის როლს, ალიანსთან შეთანხმებული პროგრამების მიზნების და ამოცანების მიღწევასთან მიმართებაში.

რეგიონში უსაფრთხოების გამყარების მნიშვნელობა

სამხრეთ კავკასია მდებარეობს შავ ზღვას (დასავლეთით) და კასპიის ზღვას (აღმოსავლეთით) შორის და ესაზღვრება რუსეთს, თურქეთს და ირანს. რეგიონი წარმოადგენს ხალხთა და კულტურათა გზაჯვარედინს, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და აქვს დღემდე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ნატო-ს მისწრაფებას გააღრმავოს დიალოგი და გაამყაროს უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში არის ის, რომ უსაფრთხოების უმთავრესი თანამედროვე გამოწვევები - ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, არშემდგარი სახელმწიფოები და რეგიონული კონფლიქტები - არ ცნობს საზღვრებს, ხოლო მათი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ შეთანხმებული საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. ნატო-ს პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში დგანან იმავე საფრთხეების წინაშე, რაც მოკავშირეები და მნიშვნელოვანი და არანაკლები როლი უნდა შეასრულონ მათ გადაწყვეტაში, გამომდინარე გეოგრაფიული სიახლოვიდან ალიანსისათვის მნიშვნელოვან რეგიონებთან.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კავკასიაზე და ნატოზე, ესაა ენერგეტიკული უსაფრთხოება. რეგიონი მდებარეობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის სატრანზიტო გზაჯვარედინზე, ხოლო აზერბაიჯანში და კასპიის ზღვაში კონცენტრირებულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რეზერვები. რეგიონში უსაფრთხოების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ენერგო-იმპორტიორი ქვეყნებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან ენერგეტიკული წყაროების და მიწოდების მარშრუტების გამრავალფეროვნებას, ისე ენერგო-ექსპორტიორი და სატრანზიტო სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ უზრუნველყონ საკუთარი მრეწველობის და მილსადენის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება.

კავკასია ასევე წარმოადგენს რეგიონს, რომელიც განიცდის მიმდინარე მკვეთრ და საფუძვლიან ცვლილებას, რამდენადაც მოიცავს გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებს. ხსენებული გარდამავალი პერიოდები ყოველთვის რთულია და შესაძლოა წარმოადგენდეს არასტაბილურობის კერას. თუმცა, ნატო, პარტნიორობის ჩარჩოებში აღნიშნული პროცესის მხარდაჭერით, ხელს უწყობს სტაბილურობას და ამგვარად აუმჯობესებს კავკასიის სახელმწიფოების პერსპექტივებს, ეკონომიკური და სოციაკური განვითარების თვალსაზრისით.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა ჩართულია გაჭიანურებულ კონფლიქტებში მოწყვეტილ რეგიონებში: მთიან ყარაბახში, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს აზერბაიჯანის ნაწილს და, ამავე დროს, მწვავე დავის

პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა

Ემუშავებულ იქნა რა მოკავშირეების მიერ 2002 წლის პრაღის სამიტის შემდეგ, პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა (IPAP) წარმოადგენს პარტნიორობის ახლა მექანიზმს, რომელიც ორიენტირებულია პარტნიორ ქვეყნებზე გამოხატული პოლიტიკური ნებით და უნარით გააღრმავონ ალიანსთან მათი ურთიერთობები. რამდენიმე წლის განმავლობაში, კავკასიის სამივე სახელმწიფო შეუდგა ალიანსთან შეთანხმებული შესაბამისი გეგმების რეალიზაციას.

IPAP გეგმები, შედგენილი ორი წლის ვადით, შემუშავებულია თანამშრომლობის იმ სხვადასხვა მექანიზმების გათვალისწინებით, რომელთა მეშვეობით თითოეული ქვეყანა შეთანხმებულად მოქმედებს ალიანსთან ერთად სამოქმედო გეგმის ფარგლებში, რომლის გამოხატული მიზანია ქვეყანაში რეფორმების მხარდაჭერა. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, კონკრეტული ხელისუფლება ადგენს რეფორმების გეგმებს და განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შესაბამის ვადებს. ალიანსი თანხმდება გასწიოს მიზნობრივი, კონკრეტული ქვეყნისათვის სპეციფიური კონსულტაცია, ხოლო ცალკეული მოკავშირეები კოორდინაციას უწევენ გაწეულ დახმარებას ქვეყნის შიდა რეფორმების ძალისხმევის მხარდასაჭერად.

ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობის ფარგლებში, IPAP გეგმებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესში.

საგანს სომხეთს და აზერბაიჯანს შორის, ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც დაძაბულობის უშრეტი წყაროა საქართველოში. ნატო არ მიისწრაფის ხსენებული კონფლიქტების გადაწყვეტაში უშუალო ჩარევისაკენ, თუმც ხელს უწყობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების - ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის და გაეროს ძალისხმევას, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შუამავლის როლის შესაბამისი მანდატი. კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა ნატოს უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, ხოლო ალიანსის მიერ ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა განპირობებულია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისაკენ მათი მისწრაფებით. ფაქტობრივად, აღნიშნული წარმოადგენს უმთავრეს ვალდებულებას, რომელიც საკუთარ თავზე აიღეს ალიანსის პარტნიორებმა სამხრეთ კავკასიაში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამასთან შეერთებისას.

თანამშრომლობის ჩარჩოები

პარტნიორული ურთიერთობა გულისხმობს თანამშრომლობაზე მეტს - საუბარია ისევ და ისევ ფასეულობებზე. როცა პარტნიორი ქვეყნები უერთდებიან პროგრამას "პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP), ისინი ხელს აწერენ "პროგრამის" ჩარჩო-დოკუმენტს. ამგვარად, პარტნიორები კისრულობენ ვალდებულებას დაიცვან საერთაშორისო სამართალი, გაეროს ქარტია, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ჰელსინკის საბოლოო აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულებები განიარაღების და შეიარაღების კონტროლის შესახებ; თავი შეიკავონ სხვა ქვეყნების მიმართ მუქარის თუ ძალის გამოყენებისაგან; დაიცვან არსებული საზღვრები; მშვიდობიანად მოაგვარონ დავები. ჩარჩო-დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს მოკავშირეების ვალდებულებას აწარმოონ კონსულტაციები ნებისმიერ პარტნიორ სახელმწიფოსთან, რომელიც მიიჩნევს, რომ საფრთხეშია მის ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება. აღნიშნული ვალდებულებების და, მთლიანობაში, PfP-ს მიზანია უზრუნველყოს ნდობა და გამჭვირვალობა, შეასუსტოს მშვიდობის დარღვევის საფრთხე და დაამყაროს უფრო ღრმა ურთიერთობები მოკავშირეებთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

PfP-ს არსს წარმოადგენს პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება ალიანსს და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის. თანამშრომლობა ეფუძნება ცალკეული ქვეყნის საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს და რეალიზდება ხელისუფლებასთან ერთად. პარტნიორებს საშუალება ეძლევათ შეარჩიონ ღონისძიებების ფართო სპექტრიდან ის ძირითადი მიმართულებები, რომლის საფუძველზეც დგება თანამშრომლობის ორწლიანი პროგრამები, რომლებიც ასევე ცნობიალია როგორც პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამები. ფაქტობრივად, შეთავაზებული ღონისძიებები ეხება ალიანსის საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, თავდაცვისაკენ მიმართულ სამუშაოს, სამხედრო სფეროს რეფორმას, თავდაცვის პოლიტიკას და დაგეგმვას, სამოქალაქოთა და სამხედროთა ურთიერთობებს, განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამხედროებს შორის თანამშრომლობას და ერთობლივ წვრთნებს, საგანგებო სიტუაციებში სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვას და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებასა და თანამშრომლობას სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხებში.

წლების მანძილზე, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მეტად აქტიურნი იყვნენ PfP ით გათვალისწინებული ღონისძიებების ფართო სპექტრთან მიმართებაში. ისინი იმ პირველ პარტნიორ ქვეყნებს შორის იყვნენ, ვინც გამოთქვა ინტერესი პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მიმართ, მისი პირველად შემუშავების დროიდან 2002 წელს (იხ. ჩანართი მე-2 გვ.).

ორმხრივი თანამშრომლობის გარდა, პარტნიორობის სტრუქტურას თანამშრომლობისათვის ასევე ახასიათებს მნიშვნელოვანი მრავალმხრივი გაქანებაც.

საქართველოს ალიანსთან ინტენსიური დიალოგი

2006 წლის სექტემბერში, ალიანსმა შესთავაზა საქართველოს ინტენსიური დიალოგი, რომელიც მოიცავს ქვეყნის გაწევრიანების მისწრაფებასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და უსაფრთხოების საკითხების სრულ სპექტრს.

აღნიშნული არ წარმოადგენს ალიანსში გაწევრიანების გარანტიას. გაწევრიანება დამოკიდებულია ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ქვეყნის მიერ უმნიშვნელოვანესი რეფორმების რეალიზაციის და განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტის ხარისხზე. ეს გულისხმობს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას, ეროვნული უმცირესობებისადმი სამართლიან მიდგომას, დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის ვალდებულებას, უნარს და ნებას მიიღოს სამხედრო მონაწილეობა ალიანსში და უზრუნველყოს თავსებადობა სხვა წევრების ძალებთან ერთობლივ ოპერაციებში და ვალდებულებას დაიცვას დემოკრატიული ფასეულობები სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებში და ორგანიზაციულ სტრუქტურებში.

სტრუქტურიზებული საექსპერტო დისკუსიების საფუძველზე, ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, საქართველოს მიეწოდება კონკრეტული ინფორმაცია ალიანსის წევრის წევრობასთან დაკავშირებული უფლებების და მოვალეობების თაობაზე. ის ასევე უფლებას ანიჭებს ალიანსის ოფიციალურ პირებს დეტალურად შეამოწმონ საქართველოს რეფორმისტული პოლიტიკა და შესაძლებლობები. აღნიშნული საშუალებას იძლევა განისაზღვროს ის ძირითადი სფეროება, რომლებშიც საქართველო საჭიროებს რეფორმების კონცენტრაციას, ხოლო თანამშრომლობა ალიანსს და საქართველოს შორის შესაძლოა უფრო მიზანმიმართული იყოს პროგრესის მიღწევის თვალსაზრისით. ინტენსიური დიალოგი წარმოადგენს საქართველოს მიერ პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის (რომელიც რჩება რეფორმის მიზნით თანამშრომლობის ძირითად პროგრამად) ფარგლებში გაწეული სამუშაოს დანამატს.

სატრანსპორტო საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობა წარმოადგენს სომხეთის კონტინგეტის ფუნქციას "კოსოვოს სამშვიდობო ძალების" (KFOR) ფარგლებში.

უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ძალების (ISAF) აზერბაიჯანელი ჯარისკაცი ავღანელ ბავშვებთან ერთად, საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან ქაბულში.

უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ძალების (ISAF) აზერბაიჯანელი ჯარისკაცი მორიგეობისას.

აღნიშნულს ასახავს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC), რომელიც ფორუმში აერთიანებს 26 მოკავშირე და 23 პარტნიორ სახელმწიფოს, დიალოგის და კონსულტაციისათვის. EAPC-ის შეხვედრები იმართება ყოველთვიურად ელჩების დონეზე და ყოველწლიურად - საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინიტრების დონეზე, ასევე, დროდადრო, სამიტების ფორმით.

EAPC-ის წევრები რეგულარულად შეაჯერებენ შეხედულებებს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, კოსოვოსა და ავღანეთში უსაფრთხოების ცვალებადი მდგომარეობის შესახებ, სადაც განთავსებულია მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების სამშვიდობოთა ერთობლივი კონტინგენტი. ამას გარდა, EAPC-იმ წამოიწყო ინიციატივა პრაქტიკული თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების ხელშწყობის მიზნით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, საზღვრების უსაფრთხოება და სხვა საკითხები, დაკავშირებული მასობრივი განადგურების, ცეცხლსასროლი და მცირეკალიბრიანი იარაღის გავრცელებასთან. წლების განმავლობაში, EAPC ასევე ხელს უწყობდა სხვადასხვა სემინარების და კონფერენციების გამართვას სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გამყარებისადმი პრაქტიკული მიდგომის საკითხებზე.

საკონსულტაციო და თანამშრომლობის პროცესების გამარტივების მიზნით, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ მიავლინეს მუდმივი დიპლომატიური მისიები ალიანსის შტაბ-ბინაში ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. ისინი ასევე წარმოდგენილნი არიან პარტნიორთა საკოორდინაციო ჯგუფში ალიანსის ოპერატიულ სამმართველოში - ბელგიის ქ. მონსში განლაგებულ ალიანსის ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარ შტაბში (SHAPE), რომელიც კოორდინაციას უწევს სწავლებასა და წვრთნებში მონაწილეობას. შეაქვთ რა წვლილი შეიარაღებული ძალით ალიანსის მიერ წარმართულ სამშვიდობო ოპერაციებში, ისინი ასევე დაშვებულნი არიან SHAPE-ის საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრის საინფორმაციო და დაგეგმვის სისტემებში.

თანამშრომლობის უმთავრესი სფეროები

საწყის ეტაპზე, პარტნიორობა და თანამშრომლობა ალიანსს და მის პარტნიორებს შორის სამხრეთ კავკასიაში კონცენტრირებული იყო გამჭვირვალობის დონის ამაღლებისა და ნდობის ატმოსფეროს დამყარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებზე. დროთა განმავლობაში, თანამშრომლობა გაფართოვდა და გაღრმავდა. დღეისათვის, უმთავრესი პრიორიტეტებია გაიზარდოს ხსენებული ქვეყნების შეიარაღებული ძალების უნარი, სამშვიდობო ოპერაციებში მოკავშირე და პარტნიორი სახელმწიფოების ძალებთან ერთობლივი მოქმედების თვალსაზრისით, უსაფრთხოების დარგობრივი რეფორმების სპეციალიზებული კონსულტირება და მხარდაჭერა, ასევე პრაქტიკული თანამშრომლობა უსაფრთხოების საერთო ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვანი სფეროებია მომზადება უბედურ შემთხვევებზე რეაგირებისათვის, მეცნიერება და გარემოს დაცვა და საზოგადოების ინფორმირება.

თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში

ალიანსის სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მათი შესაძლებლობების ზრდას ალიანსის მიერ წარმოებული სამშვიდობო და კრიზისების დარეგულირების ოპერაციების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ორმხრივი პროგრამები და მრავალეროვნული წვრთნები ხელს უწყობს მათი შეიარაღებული ძალების უნარის ზრდას იმოქმედონ ალიანსის ძალებთან ერთად. ასევე მნიშვნელოვანია ერთ ენაზე კომუნიკაცია და თავსებადობის დონის ზრდა, სტანდარტული პროცედურების თვალსაზრისით.

PfP პროგრამის ფარგლებში წარმართული სამზადისის მეშვეობით, სამივე პარტნიორის შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღეს ალიანსის მიერ წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. სომხეთი, ბერძნული კონტინგენტის ფარგლებში, მონაწილეობს კოსოვოში განთავსებულ სამშვიდობო ძალებში (KFOR) 2004 წლიდან და განიხილება ავღანეთში განთავსებულ ალიანსის საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის ძალებში (ISAF) მონაწილეობის საკითხი. აზერბაიჯანული ოცეულები მონაწილეობენ კოსოვოს სამშვიდობო ძალებში (KFOR), თურქული კონტინგენტის ფარგლებში ხოლო ავღანეთის სამშვიდობო ძალებში (ISAF) - 2002 წლიდან. აზერბაიჯანული კონტინგენტი ავღანეთში გაორმაგდა 2007 წელს. საქართველო კოსოვოს სამშვიდობო ძალებში მონაწილეობს 1999 წლიდან და მისი ასეული განაგრძობს სამსახურს გერმანული ბრიგადის ქვედანაყოფის სახით; ამას გარდა, ოცეული - თურქული კონტინგენტის ქვედანაყოფის სახით. საქართველო ასევე მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს ავღანეთის სამშვიდობო ძალებში და უზრუნველყოფს ტრანზიტს მისი ტერიტორიის გავლით თანახმად ალიანსთან 2005 წელს ხელმოწერილი შეთანხმებისა. საქართველოს ოცეული ასევე მონაწილეობდა ავღანეთის სამშვიდობო ძალებში 2004 წელს ბრიტანულ ბატალიონთან ერთად და უზრუნველყოფდა საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოებას. დასრულების ფაზაშია ავღანეთის სამშვიდობო ძალებისათვის გაწეული სხვა დახმარება, სამედიცინო და სპეც-დანიშნულების ძალებით დახმარების ჩათვლით.

პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში ასევე მონაწილეობენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პარტნიორთა სამოქმედო გეგმაში მონაწილეობის გზით, რომელიც ამოქმედდა შეერთებულ შტატებზე 2001 წელს განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების პასუხად. ხსენებულ სფეროში თანამშრომლობა მოიცავს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას და წვრთნებს ტერორიზმთან ბრძოლისუნარიონობის და საზღვების დაცვის დონის ასამაღლებლად; ასევე, შესაძლო ტერორისტული თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისათვის მზაობის დონის ამაღლებას.

თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროს რეფორმა

თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროს რეფორმა წარმოადგენს განუხრელად მნიშვნელოვან საკითხს სამხრეთ კავკასიაში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში და ალიანსთან შეთანხმებული "სამოქმედო გეგმების" უმთავრეს ასპექტს. ესაა სფერო, რომელთან მიმართებაშიც ალიანსი და კონკრეტული მოკავშირეები ფლობენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომლის გაზიარებაც შეუძლიათ პარტნიორებს. უმთავრესი პრიორიტეტებია მათი შესაძლებლობების გაზრდა ევრო-ატლანტიკურ რეგიონში კრიზისების დაძლევის და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ხელშეწყობა სახელმწიფო თავდაცვითი ორგანოების ეფექტური და შედეგიანი მართვის მეთოდების შემუშავების პროცესში და სამოქალაქო და დემოკრატიული ერთეულების მიერ შეიარაღებული ძალების კონტროლის ხელშეწყობა.

"სამოქმედო გეგმები" აღრმავებს პოლიტიკურ დიალოგს და ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობას ალიანსთან დემოკრატიული, ინსტიტუციური და თავდაცვის სფეროს რეფორმების საკითხებზე. სახელდობრ, ინსტიტუციური რეფორმების შესრულება ხელს უწყობს თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმების გაღრმავებას და დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის უფრო მეტად სპეციფიური და ტექნიკური რეფორმები განიხილება პარალელურად PfP-ს დაგეგმვის და ანალიზის პროცესის კონტექსტში (PARP). ის ხელს უწყობს იმ ძალების და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, ზრდას და შეფასებას, რომლებიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს ალიანსის მრავალეროვნული წვრთნების და ოპერაციების მიზნებისათვის.

დახმარება დემილიტარიზაციის პროექტებში

NATO/PfP პროგრამის სატრასტო ფონდის პროექტები ხელს უწყობს პარტნიორ ქვეყნებს ჭარბი და მოძველებული იარაღის თუ საომარი აღჭურვილობის სასაწყობო მარაგების უსაფრთხო განადგურების პროცესში. ფინანსდება რა ცალკეული მოკავშირეების და პარტნიორი ქვეყნების ნებაყოფლობითი შენატანებით, ეს პროექტები, ჩვეულებრივ, გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან.

აზერბაიჯანში 1,6 მილიონი ევრო იქნა ინვესტირებული სალოღლუს ყოფილ სამხედრო ბაზაზე და ქალაქებში აგსტაფა და პოილუ აუფეთქებელი საბრძოლო მასალების ლიკვიდაციის მიმდინარე პროექტში. აღნიშნული აღჭურვილობა ადგილობრივ მოსახლეობის არაერთი უბედური შემთხვევის მიზეზად იქცა.

საქართველოში 1,1 მილიონი ევრო დაიხარჯა ფონიჭალის და ჭალადიდის ბაზებზე 500-მდე "მიწა-ჰაერის" და სხვა ტიპის რაკეტების განადგურების პროექტში. დასრულდა რა 2006 წლის თებერვალში, ხსენებული პროექტის ფარგლებში აღმოიფხვრა არა მარტო ზიანის საფრთხე, არამედ თავიდან იქნა აცილებული გარემოს შესაძლო დაბინძურება მომავალში. საქართველოში მეორე პროექტის განხორციელება დაიწყო 2007 წელს. გააჩნია რა ბიუჯეტი 487 ათასი ევროს ოდენობით, ის ხელს შეუწყობს 9 ათასამდე ჭურვის განადგურებას.

ქართველი მაშველები ამონტაჟებენ "მსხვერპლის" საძიებო აღჭურვილობას კატასტროფებზე რეაგირების წვრთნისას ხორვატიაში; 2007 წ. მაისი.

ის ასევე უზრუნველყოფს პარტნიორებს ჩარჩოებით, რომლის ფარგლებშიც უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტური, მობილური და შეუდრეკელი შეიარაღებული ძალები და ხელს უწყობს თავდაცვის სექტორის უფრო ღრმა რეფორმებს. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება მონაწილეობა მიეღო PARP-ში, მიუხედავად აღნიშნულის ნებაყოფლობითი ხასიათისა. PARP-ის თანახმად, თითოეულ ქვეყანასთან წარმოებს მოლაპარაკება დაგეგმილი მიზნების თაობაზე, ხოლო მიღწეული პროგრესი სიღრმისეულად ფასდება ყოველწლიურად.

კიდევ ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ორგანიზაციული ინფრასტუქტურის შექმნის პარტნიორთა სამოქმედო გეგმა (PAP-DIB). ხორციელდება რა 2004 წლიდან, PAP-DIB ახდენს პარტნიორთა სტიმულირებას და ხელს უწყობს მათ შექმნან ეფექტური და დემოკრატიული პასუხისმგებლობით სავსე თავდაცვითი სტრუქტურები. მისი საბოლოო მიზანია დაუქვემდებაროს ეფექტურ დემოკრატიულ და სამოქალაქო კონტროლს შეიარაღებული ძალები და თავდაცვითი და უსაფრთხოების სტრუქტურები, აამაღლოს მათი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის დონე და უზრუნველყოს მათი სათანადო დაკომპლექტება, სტრუქტურა და დაფინანსება, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნების პასუხად.

ალიანსის კიდევ ერთი პრიორიტეტია დახმარება გაუწიოს პარტნიორ ქვეყნებს NATO/PfP სატრასტო ფონდის მექანიზმის მეშვეობით დემილიტარიზაციის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს ჭარბი და მოძველებული იარაღის თუ საომარი აღჭურვილობის სასაწყობო მარაგებით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას. ორი ასეთი პროექტი რეალიზებული იქნა აზერბაიჯანსა და საქართველოში (იხ. ჩანართი მე-5 გვ.).

"მელანჟის" ტიპის სარაკეტო საწვავის გადამამუშავებელი დანადგარი

"მელანჟის" ტიპის სარაკეტო საწვავი წარმოადგენს მეტად ტოქსიკურ და კოროზიულ რაკეტის საწვავის მჟანგველს, რომელიც გამოიყენებოდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში, ახლა კი სერიოზულ საფრთხეს ქმნის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის მთავრობის მოთხოვნით, ალიანსის პროგრამის - "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" - ფარგლებში, ალიანსის ტექნიკური უზრუნველყოფის და მომარაგების სააგენტოს (NAMSA), როგორც აღმასრულებლის მეშვეობით, ამოქმედდა "მელანჟის" უსაფრთხო ნივთიერებად გადამამუშავებელი მობილური დანადგარი. 2007 წლის ბოლოსათვის გადამუშავებული იქნა 1200 ტონა "მელანჟი.

"მელანჟის" დაჟანგული ავზები საფრთხეს უქმნიდა გარემოს აზერბაიჯანში.

მზაობა სტიქიური უბედურებებისათვის და მათზე რეაგირება

სტიქიური ან ადამიანის მიერ გამოწვეული მოვლენები შესაძლოა დაუძლეველი იყოს საუკეთესოდ მომზადებული ქვეყნებისთვისაც კი. აღნიშნული კატასტროფების შედეგები ხშირად სცდება საზღვრებს და, ამდენად, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მთელი რეგიონების უსაფრთხოებას და სტაბილურობას. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა სტიქიური უბედურებებისათვის მზაობის და მათზე რეაგირების (რაც ალიანსის წრეში ცნობილია როგორც "სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვა საგანგებო სიტუაციებისათვის") თვალსაზრისით და შეადგენს კიდეც პარტნიორობის ფარგლებში საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, ალიანსთან თანამშრომლობით, განაგრძობენ მუშაობას სტიქიური უბედურებებისათვის სახელმწიფო მზაობის და მათზე რეაგირების საშულებების ზრდის მიმართულებით. ხსენებულ სფეროში გატარებულია არაერთი ღონისძიება სტიქიურ უბედურებებზე და კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის (EADRCC) ეგიდით.

EADRCC შეიქმნა 1998 წელს, EAPC-ის ხელმომწერი ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით. მაგალითად, მან ხელი შეუწყო აზერბაიჯანში 2003 წლის და საქართველოში 2005 წლის წყალდიდობების, ხოლო 2006 წელს საქართველოში ტყის ხანძრის შემდგომი დახმარების კოორდინაციას.

წვრთნები იძლევა საუკეთესო შესაძლებლობას შეფასდეს შესაძლებლობები მოქმედებაში და განისაზღვროს უფრო ღრმა თანამშრომლობის სამომავლო სფეროები. სამხრეთ კავკასიის პარტნიორი ქვეყნები მონაწილეობდნენ მსგავს წვრთნებში 2000 წლის შემდეგ. ბოლო წლებში, EAPC-ს ღონისძიებების უმეტესობა, მათ შორის, რიგი წვრთნებისა, ინიცირებული, ორგანიზებული და გატარებული იქნა პარტნიორ ქვეყნებში. აღნიშნული ასახავს იმ უდიდეს მნიშვნელობას,

რომელსაც პარტნიორები ანიჭებენ თანამშრომლობას სამოქალაქო სამსახურების გამოყენების დაგეგმვას საგანგებო სიტუაციებისათვის, რომელიც შეადგენს PfP-თი განსაზღვრული ღონისძიებების უმსხვილეს სამოქალაქო კომპონენტს.

მეცნიერება და გარემოს დაცვა

მეცნიერები და მკვლევარები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სარგებლობენ ალიანსის "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" (SPS) პროგრამით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, რომლებიც ხელს უწყობს ალიანსის და პარტნიორი ქვეყნებიდან მეცნიერებს შორის თანამშრომლობას, კავშირების დამყარებას და ძალისხმევის მობილიზიას. გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს კვლევით საქმიანობას, სემინარებს, კონფერენციებს და ერთობლივ კვლევებს სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხებზე.

თანამშრომლობა მეცნიერებს შორის ურთიერთობის ტრადიციული ფორმაა და აუცილებელია სამეცნიერო პროგრესისათვის. დამყარებული ურთიერთობები ასევე ემსახურება სხვადასხვა კულტურის და ტრადიციების მატარებელ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების და ნდობის გაღრმავების პოლიტიკურ მიზნებს. კიდევ ერთი მიზანია იმ ტექნოლოგიის გაზიარების და გადაცემის ხელშეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს პარტნიორ ქვეყნებს გადაწყვიტონ შესაბამისი კონკრეტული პრობლემები.

გარდა სამეცნიერო სფეროში კვლევებზე კონცენტრირებული პროექტებისა, SPS ძალისხმევა ასევე მიმართულია სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოების გაძლიერებისაკენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. "ვირტუალური აბრეშუმის გზის" პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის და ცენტრალური აზიის სამეცნიერო ერთეულებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას სატელიტური ქსელების მეშვეობით. გრანტები ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნაზე დახმარებას უწევს სამეცნიერო დაწესებულებებს პარტნიორ ქვეყნებში იმ აღჭურვილობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გაუმჯობესებს მათი სატელეკომუნიკაციო საშუალებების დაცულობის დონეს.

საზოგადოების ინფორმირება

სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან თანამშრომლობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა საზოგადოების ინფორმირება. მიმდინარეობს მუშაობა ურთიერთობების დასამყარებლად უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებთან, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად ალიანსის და მასთან თანამშრომლობის სარგებლის თაობაზე, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებზე უფრო ფართო დიალოგში ჩართვის მიზნით. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ალიანსის დახმარებით და სახელმწიფო დაწესებულებებთან შეთანხმებით, ორგანიზებას უწევენ არაერთ ღონისძიებას, როგორიცაა სემინარები, კონფერენციები და საგამომცემლობო პროექტები.

არაფორმალური ლიდერების ჯგუფებს სამივე ქვეყნიდან რეგულარულად იწვევენ ალიანსის შესახებ ბრიფინგებზე ალიანსის შტაბბინაში და ალიანსის ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში (SHAPE). ალიანსის ოფიციალური პირები ხშირად ჩადიან რეგიონში მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ალიანსის სახალხო დიპლომატიის განყოფილება ასევე ხელს უწყობდა ალიანსის შესახებ საინფორმაციო ცენტრების შექმნას სამივე ქვეყანაში, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც საკოორდინაციო ცენტრები, შესაბამისი პუბლიკაციების და დოკუმენტების გავრცელების მიზნით.

მდინარეების მონიტორინგი სამხრეთ კავკასიაში

ალიანსი და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ერთობლივი ძალისხმევით, დახმარებას უწევენ სამხრეთ კავკასიაში მდინარეების მონიტორინგის პროექტს, რომელიც დაფინანსებულია ალიანსის პროგრამის - "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" - ფარგლებში. ამ ინიციატივის (რომელიც წამოწყებულია 2004 წელს და გასტანს 2008 წლის ბოლომდე) მიზანია წყლის საერთო რესურსებთან დაკავშირებული დავების პოტენციური მიზეზების აღმოფხვრა.

სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ერთობლივად სარგებლობენ მდინარეებით მტკვარი და არაქსით და მათი წყალგამყოფებით. როგორც ეს ხშირად ხდება საზღვრების გადამკვეთი მდინარეების შემთხვევაში, სამივე ქვეყანა განიცდის საერთო პრობლემებს, დაკავშირებულს წყალმომარაგებასთან და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობის შედეგად მდინარის დაბინძურებასთან. პროექტის მიზანია სამივე ქვეყანაში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული და სტანდარტული პროცედურების დაცვით მომუშავე წყლის მონიტორინგის ლაბორატორიები.

პროექტის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილია წყლის რადიოაქტიულობის მონიტორინგი, რათა იდენტიფიცირებული იქნას ნებისმიერი რადიოაქტიული იზოტოპები, რომლებიც შესაძლოა მოხვდეს წყალში შემთხვევით ან გამიზნული ტერორისტული აქტის შედეგად.

დამატებითი ინფორმაცია

ინდივიდუალური ვებ-გვერდები ალიანსის თითოეულ პარტნიორთან ურთიერთობების შესახებ:

სომხეთი:
www.nato.int/issues/nato-armenia

აზერბაიჯანი:
www.nato.int/issues/nato-azerbaijan

საქართველო:
www.nato.int/issues/nato-georgia

ალიანსის პუბლიკაციების მიღება შესაძლებელია "E-Bookshop"-ის მეშვეობით მისამართზე:
www.nato.int/ebookshop

ორიენტირები

1991 წ. საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა მოახდინეს საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის დეკლარირება.

1992 წ. სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო შეუერთდნენ ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს.

1994 წ. სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ხელი მოაწერეს პროგრამა "თანამშრომლობა მშვიდობისათვის" (PfP) ჩარჩო-დოკუმენტს.

1996 წ. საქართველო შეუდგა მონაწილეობას PfP-ის დაგეგმვის და ანალიზის პროცესში.

1997 წ. აზერბაიჯანი შეუდგა მონაწილეობას PfP-ის დაგეგმვის და ანალიზის პროცესში.

1999 წ. აზერბაიჯანი და საქართველო მონაწილეობენ კოსოვოს სამშვიდობო ძალებში (KFOR).

2001 წ. საქართველომ უმასპინძლა NATO/PfP-ის პირველ წვრთნას "ქოოფერათივ ფართნერ 2001".

2002 წ. საქართველომ უმასპინძლა NATO/PfP-ის წვრთნას "ქოოფერათივ ბესთ ეფორთ 2002".

სომხეთი და საქართველო ჩაერთნენ "ვირტუალურ აბრეშუმის გზაში".

სომხეთი შეუდგა მონაწილეობას PfP-ის დაგეგმვის და ანალიზის პროცესში.

აზერბაიჯანი მონაწილეობს ავღანეთში გაგზავნილ უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ძალებში (ISAF).

2003 წ. სომხეთმა უმასპინძლა NATO/PfP-ის პირველ წვრთნას "ქოოფერათივ ბესთ ეფორთ 2003".

აზერბაიჯანი ჩაერთო "ვირტუალურ აბრეშუმის გზაში".

2004 წ. ალიანსის სტამბულის სამიტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კავკასიას და ცენტრალურ აზიას.

საქართველომ დაასრულა პირველი "პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა" (IPAP).

სომხეთი მონაწილეობს კოსოვოს სამშვიდობო ძალებში (KFOR).

საქართველოს ჯარისკაცები მონაწილეობენ უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ძალებში (ISAF), საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების დასაცავად.

2005 წ. საქართველომ და ნატო-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს გავლით უსაფრთხოების დაცვის საერთაშორისო ძალების ტვირთების და პერსონალის ტრანზიტული ტრანსპორტირების შესახებ.

ნატო-ს სახალხო დიპლომატიის განყოფილების დახმარებით, საქართველოში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრი ალიანსის შესახებ.

სომხეთმა და აზერბაიჯანმა დაასრულეს მათი პირველი IPAP გეგმები.

2006 წ. ალიანსის სახალხო დიპლომატიის განყოფილების დახმარებით, სომხეთში და აზერბაიჯანში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრები ალიანსის შესახებ.

ნატო-მ საქართველოს შესთავაზა ინტენსიური დიალოგი.

2007 წ. საქართველომ მასპინძლობს NATO/PfP-ის საჰაერო წვრთნას "ქოოფერათივ არჩერ 2007".

ალიანსის მიმოხილვებში მოცემულია ინფორმაცია ალიანსის პოლიტიკის და საქმიანობის სხვადასხვა სფეროების თაობაზე. ისინი ქვეყნდება გენერალური მდივნის ნებართვით და სავალდებულო არაა გამოხატავდეს ცალკეული წევრი სახელმწიფოების ოფიციალურ აზრს თუ პოზიციას.

NATO Public Diplomacy Division
1110 Brussels – Belgium
www.nato.int
natodoc@hq.nato.int

BGR4-CAU-GEO-0907-REV2
© NATO 2007